საქართველო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9725139001
თარიღი:19/05/2025

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი - N05

დ. ლენტეხი 14 მაისი 2025 წ

მიმდინარე წლის 14 მაისს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომას ესწრება ბიუროს 11 (თერთმეტი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა 7(შვიდი) წევრი.

ბიუროს სხდომას ესწრებოდა საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) ხელმძღვანელი მაყვალა ჩანქსელიანი.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიების მიერ განხილული და მომზადებულია საკითხები. მათი მომართვების საფუძველზე ჩამოყალიბდა მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი, რომელიც წარმოდგენილია შემდეგი სახით:

1. **მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო სამსახურის ანგარიში - ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.**

   /მომხს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

2. **,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების ახალი შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ნოემბრის Nგ97-97223151 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

   /მომხს: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე თორნიკე გასვიანი/

3. **,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 იანვრის N- 02 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

   /მომხს: მერიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი/

4. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ.**

   /მომხს: მერიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი

ხათუნა ლიპარტელიანი/

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -11

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა დასრულდა 12 საათსა და 40 წუთზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი